

# გეოეკონომიკა, როგორც ეკონომიკის შესწავლის მულტიდისციპლინარული და ალტერნატიული მიმართულება

*ციცინო ძოჭენიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ეკონომიკის დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

*ანა კირიაკიდი - მაგისტრი, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## **GEO-ECONOMICS AS AN ALTERNATIVE MULTIDISCIPLINARY DIRECTION FOR THE STUDY OF ECONOMICS**

*Dzotsenidze Tsitsino - PhD in Economics, Department of Economics, Akaki Tsereteli State University. Kutaisi, Georgia,*

*Kiriakidi Anna – MA, Faculty of business, law and social sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### **Abstract**

**Introduction and aim** the act of teaching is essentially a constant processing of options. At every point in each lecture a lecturer should have a number of options available. In order to become a better teacher it seems important to be aware of as many options as possible. We should learn how to teach in more effective ways.

Geo-economics is an alternative multidisciplinary direction for the study of economics. It will introduce students to the strategic entities, such as nations and multinational enterprises, which constantly face global competitive issues.

**Research methodology:** Objectives will be met by the following teaching methods:

1. Discussion/Debates; group work (Practical lessons).
2. Homework Assignments (problem-based and task-based teaching)

**Results and implications:** This course explores the basic analytical principles of Geo-economics.. It is designed to help students develop an understanding of basic Geo-economics maxims. At the end, students will be able to apply these principles to understand real economic phenomena as well as interpret economic news in mass media. Students will identify what the role of the government is in the economic organization. They will become familiarized with economic concepts like Nareland, Heartland, Sealand and others.

**Conclusion):** The ultimate result should be to develop the student's skills of analytical reasoning. Even if the student does not pursue economics or a career in business, these skills are valuable in other pursuits and everyday life. Analytical skills will be honed by the development of theoretical models and concepts, reference to statistical information, and the applications of models to real world events.

As I have always planned to spend some time abroad during my studies, I am very happy to use the opportunities given to us by the European Commission. I chose the Erasmus program, because I am particularly interested in spending some time at European university. I think this is unique opportunity to combine my university activities with first-hand experience of economic life and policy in European country.

**Keywords:** Geo-economics, economics, Innovation, technology, alternative, multidisciplinary direction.

**პირველი თავის სათაური. შესავალი.** გეოეკონომიკა არის მეცნიერება რესურსების სივრცითი, კულტურული და სტრატეგიული ასპექტების შესახებ. იგი მიზნად ისახავს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესახებ მეცნიერებას. გეოეკონომიკა არის გეოპოლიტიკის გაგრძელება გლობალიზაციის ერაში. შესაბამისად ეს საგანი რელევანტურია (შესატყვისია) დიდ სტრატეგიულ მთლიანობებთან მიმართებაში, როგორცაა ერები და მულტინაციონალური კორპორაციები, რომლებიც მუდმივად დგანან კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე. გეოეკონომიკა ეს არის ეკონომიკის ალტერნატიული მულტიდისციპლინარული მიმართულება.

### 1.1 საკითხის ისტორია. გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის კავშირი .

გეოეკონომიკა გეოპოლიტიკისაგან განსხვავებით პირველ რიგში განიხილავს ეკონომიკურ პროცესებს და არა პოლიტიკურ ან სამხედრო ხასიათის მოვლენებს, მსგავსება ამ ორ დისციპლინას შორის არის ის, რომ ისინი ორივე, გეოეკონომიკაც და გეოპოლიტიკაც განიხილება ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების შემსწავლელი.

ორივე, გეოპოლიტიკაც და გეოეკონომიკაც წარმოადგენენ სტრატეგიულ მეცნიერებასთან, სადაც განისაზღვრება ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური მიზნების შემცველი ოპტიმალური გეგმა. ამ სახის კვლევებში ცალსახად აღიარებულია ის ფაქტი, რომ კარგი გადაწყვეტილება დამოკიდებულია კარგ ინფორმაციაზე. თანამედროვე ფირმისთვის აღარ არის საკმარისი მხოლოდ მარკეტინგული კვლევის ჩატარება რომელსაც ტრადიციულად მარკეტინგული კვლევის დეპარტამენტი ატარებდა. დრომ მოიტანა და საჭირო ხდება დაზვერვითი ხასიათის ორგანიზაციის არსებობა, რომელიც სისტემატიურად მოიპოვებს და დაამუშავებს ინფორმაციას არა მარტო ბაზრებსა და მომხმარებლებთან დაკავშირებით, არამედ კონკურენტების სხვა მაკრო და მიკრო ფაქტორებთან მიმართებით.. აქ იგულისხმება მიმწოდებლები და დარგის შესწავლა ერთი მხრივ (მიკრო გარემო) და მეორე მხრივ მაკრო გარემო, ეკონომიკა, სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები, ინფრასტრუქტურა, ეკოლოგია, ტექნიკური, კულტურული და სოციალური ფაქტორები. ყოველივე ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საერთაშორისო ბიზნესი და ბაზარი გახდა ძალიან დამოუკიდებელი. ის რაც ხდება ერთ კომპანიაში მსოფლიოს ერთ რომელიმე ნაწილში უშუალო გავლენას ახდენს მამოწმებელ მეორე კომპანიაზე მსოფლიოს მეორე ნაწილში. ამის თვალსაჩინო მაგალითია მსოფლიო საფონდო ბაზრები.. გლობალიზაციის განვითარებამ მოიტანა საწარმოო ციკლის ხანგრძლივობის შემცირება, კონკურენციის და ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა. გარდამავალი პერიოდი, როდესაც კომპანია საერთაშორისო მასშტაბით უძლიერეს წარმოადგენს და შემდეგ გაკოტრებული აღმოჩნდება, ზოგჯერ ძალიან ხანმოკლეა.

#### 1.1.1 კვლევის მეთოდები .

ინფორმაციის გამოყენების ტექნოლოგიის ახალ ფორმას წარმოადგენს Web 2.0 ტექნოლოგიების ფართე სპექტრი, რომელიც თანამედროვე იუზერებს ერთმანეთთან თავისუფალი ინტერაქტივობისა და თანამშრომლობის საშუალებას აძლევს . აქ იგულისხმება ბლოგები, სოციალური ქსელები და ა.შ. ამ ტექნოლოგიების არსებობის ფაქტს უკვე მივყევართ შორს მიმავალ შედეგებამდე.

გეოეკონომიკის, ისევე როგორც ეკონომიკის შესწავლა ზოგადად ნაკლებად მნიშვნელოვანია მცირეკერძო ბიზნესისთვის, რომელთა ინდივიდუალურ აქტივობებს არ გააჩნიათ ეროვნული სტრატეგიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუმცა ამ კომპანიებს, უკვე ერთად აღებულს გააჩნიათ დიდი გეოეკონომიკური მნიშვნელობა საზოგადოებისთვის. დიდი კომპანიები და ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ხშირად აღემატება ბევრი ცალკეული ქვეყნის წლიურ შემოსავალს, იყენებენ თავიანთ მდგომარეობას სახელმწიფოსთან მოსალაპარაკებლად განსაკუთრებული პრივილეგიების მოპოვების მიზნით. ეს ეხება ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებს, შრომით კანონმდებლობას, საგადასახადო კანონმდებლობას და ა.შ.

**გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის მოძრაობის ციკლები:** დასავლეთში ეკონომიკა გვევლინება პროცესად, რომელსაც ეროვნული სახელმწიფო ნაკლებად აკონტროლებს. საერთაშორისო მასშტაბით წინსვლა ხდება უმთავრესად კერძო სექტორის ძალისხმევით შედეგად. მსოფლიოს სხვა ნაწილში სახელმწიფო აქტიურად იღებს პასუხისმგებლობას ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. ასე არის ჩინეთში.. სწორედ ჩინეთის მთავრობა მართავს პროცესებს, როდესაც ჩინური კომპანიები შედიან ახალ ქვეყნებში, მაგალითად აფრიკაში.

თუმცა, აშშ ახლოს დგას იმასთან რასაც შეიძლება ვუწოდოთ კორპორაციული სახელმწიფო, ორივე ქვეყანა, ჩინეთიც და ამერიკაც მოქმედებენ გეოეკონომიკური ლოგიკის შესაბამისად. რაც ნიშნავს იმას, რომ

ორივე ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერები აღიარებენ შემდეგს: ეროვნული კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა მხოლოდ **კერძო სექტორისთვის მრავალმხრივი თავისუფლების** მინიჭების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კონტროლის ზომა და ინტერვენცია განსხვავებულია ქვეყნიდან ქვეყანაში, ყველა ეროვნულ სახელმწიფოში ესმით ერთი რამ: **სახელმწიფოს გააჩნია პასუხისმგებლობა რომ ერი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი. მომავალში კონკურენტული უპირატესობა როგორც მიზანი შეიცვლება მდგრადობით**, რადგან მოსახლეობას მოუწევს იმის გაცნობიერება, რომ მატერიალური ზრდა შეზღუდულია.

ეროვნული სახელმწიფოებისათვის გეოპოლიტიკის კანონებით მართვა უფრო ადვილია. გეოპოლიტიკის აღმავლობის პერიოდში, უმთავრესად მე-19 საუკუნეში, კონკურენტული უპირატესობა მიიღწეოდა სახელმწიფოების გადაწყვეტილებებისა და **ძალისხმევის შედეგად** და საბოლოოდ ეს ხდებოდა **ომების გაჩაღების გზით**. 21-ე საუკუნის დადგომასთან ერთად ეროვნული სახელმწიფოები აცნობიერებენ რომ ომი აღარ არის საუკეთესო გადაწყვეტილება საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად.

ამის ამის მაგალითია ამერიკის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოებული ომები. ეს ომები უმეტეს შემთხვევაში წაგებული აღმოჩნდა არა მარტო ჰუმანიტარული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ხედავენ რა ამას ხვალინდელი დღის კონკურენტუნარიანი ერები ცდილობენ თავიანთი რესურსები გადაქაჩონ მეცნიერების, განათლების, წარმოების და ვაჭრობის სასარგებლოდ (SEPT) - რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ოქროს პროცესი“ გეოეკონომიკაში. ამ პროცესის ლოგიკა საკმაოდ მარტივია. თავიდან ზრუნავენ სამეცნიერო მიღწევებზე, შემდეგ უზიარებენ ამ მიღწევებს სხვებს და დებენ ამ ცოდნას ახალ პროდუქტებში, რომელსაც გაყიდვას ისევ საზღვარგარეთ. ახლად მიღებული მოგების რეინვესტიერას ახდენენ ისევ მეცნიერებაში და ასე შემდეგ. ზოგ ქვეყანაში რესურსების გადატანა მეცნიერებაში ხორციელდება კერძო პირების მიერ უნივერსიტეტებისთვის შეწირულობების გზით. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მიღებულია აშშ-ში.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში და ბევრ აზიურ ქვეყანაში იყენებენ გადასახადებს ამ ტიპის ინვესტიციების განსახორციელებლად. მიზეზი, რომლის გამოც ამერიკული მოდელი უკეთ მუშაობს მდგომარეობს არა იმაში, რომ ეს მოდელი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია, არამედ იმაში, რომ იგი **დაფუძნებულია მერიტოკრატიულ სისტემაზე**. აქვე აღვნიშნავთ რომ მსოფლიო 20 წამყვანი უნივერსიტეტიდან 18 არის ამერიკული და კერძო. მერიტოკრატიული სისტემა კი ეწოდება სოციალურ სისტემას, სადაც ადამიანები აღწევენ სიმდიდრეს და ძალაუფლებას თავიანთი ნიჭიერების შესაბამისად. ამას სხვაგვარად „ახალი კლასობრივი თეორია“ -საც უწოდებენ.

გეოპოლიტიკის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული **ეროვნული სახელმწიფოს** ცნებასთან. ეროვნული სახელმწიფო ამოიზარდა განმანათლებელთა და იდუსტრიალიზაციის ეპოქიდან. მანამდე, მაგალითად რენესანსის დროს, საზოგადოებები ფუნქციონირებდნენ **გეოეკონომიკური ლოგიკის** შესატყვისად. ადგილობრივი მამულები და პატარა ქალაქი სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობას ეწეოდნენ ახლანდელი კომპანიების მსგავსად. ეს ასე ხდებოდა თავიდან ვენეციაში, შემდეგ კი ამსტერდამსა და სხვა ქალაქებშიც.

ვაჭრები გაერთიანებულები იყვნენ გილდიებში და იმყოფებოდნენ მკაცრი მერიტოკრატიული ზედამხედველობის ქვეშ. საზოგადოება წარმოადგენდა ჰარმონიზირებულ ორგანიზმს და იგი იმართებოდა ეკონომიკური ზრდის ინტერესებით მანამ სანამ რომელიმე სხვა სახელმწიფო არ დაესხმებოდა თავს. ყველა ქვეყანა ცდილობდა ყოლოდა ძლიერი არმია, მაგრამ არასოდეს იყენებდა მას, თუ დარწმუნებული არ იქნებოდა თავის გამარჯვებაში. ეს სტრატეგია ნაკლებად ეფექტიანი გახდა ეროვნული სახელმწიფოების გაძლიერებასთან ერთად, როგორც ეს ჩანს მეოცე საუკუნეში თავისი ორი მსოფლიო ომის გათვალისწინებით. ახლა, 21-ე საუკუნეში, როდესაც ამდენი ბირთვული იარაღი მსოფლიოში, ძლიერ ერებს შორის ომის გამანადგურებელი შედეგების ალბათობა აშკარა ხდება. ყოველივე ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს ზესახელმწიფოებს ფართემასშტაბიანი ომების გაჩაღებაში. სამწუხაროდ, აშკარაა რომ ისინი მოქმედებენ პატარა ერებთან მიმართებაში მათი სამხედრო კონფლიქტებში ჩარევისა და შემინების მიზნით. დიდია ტელევიზიების და მეოთხე თაობის ინტერნეტ ტექნოლოგიების როლი. ადამიანთა ტანჯვა მაშინვე გამჭვირვალე ხდება და შესაბამისად სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის ალბათობაც გაზრდილია.

გეოეკონომიკის, ისევე როგორც გეოპოლიტიკის მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს **ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი**. ეროვნული სახელმწიფოებისთვისაც საბოლოო მიზანს წარმოადგენს სწორედ ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი. ამ სამეცნიერო დისციპლინების ლოგიკის მიხედვით ერები ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერები ხდებიან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწორად

არის ეს ბუნებრივი რესურსები მართული. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამას უწოდებენ „ერების კონკურენტულ უპირატესობას“ ეს იყო ეკონომიკის, როგორც მეცნიერების საფუძველი, როგორც ეს გადმოცემულია ადამ სმიტის 1776 წელს გამოცემულ წიგნში „ერთა სიმდიდრის შესახებ.“

ყველა ერი დაინტერესულია თავის კონკურენტულ უპირატესობაში. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ერი და კულტურა არ ყოფილა მუდმივად ლიდერის პოზიციაში, ამის ნაცვლად ჩვენ განმეორებით ვხედავთ თუ როგორ ენაცვლება ლიდერის პოზიციაზე ერთი ერი მეორეს. დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც ესა თუ ის ერი თუ კულტურა ინარჩუნებდა ლიდერის პოზიციას, იცვლებოდა და ვარიირებდა. ერთ შემთხვევაში ის 1000 წელს აღემატებოდა, მაგალითად ჩინეთსა და ეგვიპტეში, სხვაგან კი, მაგალითად პორტუგალიაში, ნიდერლანდებში და ახლა შესაძლოა აშშ-შიც, ეს პერიოდი 100 წელზე ნაკლებს შეადგენს.

რაც დრო გადის უფრო და უფრო რთული ხდება ლიდერის პოზიციების შენარჩუნება. ამის მიზეზად გამკაცრებული კონკურენცია და გაზრდილი ინდივიდუალური თავისუფლება სახელდება. როგორ უნდა განვსაზღვროთ ესა თუ ის ქვეყანა რის მიხედვით ხდება უფრო კონკურენტული?

ეს არის ამ დისციპლინის ძირითადი შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ და რომელიც ამავედროს წარმოადგენს გეოეკონომიკის შესწავლისთვის ამოსავალ წერტილს. პასუხი ამ კითხვებზე უნდა ვეძიოთ მიდგომებში, რომლებიც განსხვავებული იქნება „კლასიკური“ და „ნეოკლასიკური“ ეკონომიკის მიდგომებისაგან. მეორე მხრივ ეს ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეკონომიკის, როგორც დისციპლინის ზოგიერთ დებულებას, რა სახითაც ამჟამად იგი არსებობს პრაქტიკაში.

### 1.1.2 გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის მოძრაობის ციკლები::

დასავლეთში ეკონომიკა გვევლინება პროცესად, რომელსაც ეროვნული სახელმწიფო ნაკლებად აკონტროლებს. საერთაშორისო მასშტაბით წინსვლა ხდება უმთავრესად კერძო სექტორის ძალისხმევის შედეგად. მსოფლიოს სხვა ნაწილში სახელმწიფო აქტიურად იღებს პასუხისმგებლობას ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. ასე არის ჩინეთში.. სწორედ ჩინეთის მთავრობა მართავს პროცესებს, როდესაც ჩინური კომპანიები შედიან ახალ ქვეყნებში, მაგალითად აფრიკაში.

თუმცა, აშშ ახლოს დგას იმასთან რასაც შეიძლება ვუწოდოთ კორპორაციული სახელმწიფო, ორივე ქვეყანა, ჩინეთიც და ამერიკაც მოქმედებენ გეოეკონომიკური ლოგიკის შესაბამისად. რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერები აღიარებენ შემდეგს: ეროვნული კონკურენტული უპირატესობა მიიღწევა მხოლოდ კერძო სექტორისთვის მრავალმხრივი თავისუფლების მინიჭების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კონტროლის ზომა და ინტერვენცია განსხვავებულია ქვეყნიდან ქვეყანაში, ყველა ეროვნულ სახელმწიფოში ესმით ერთი რამ: სახელმწიფოს გააჩნია პასუხისმგებლობა რომ ერი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი. მომავალში კონკურენტული უპირატესობა როგორც მიზანი შეიცვლება მდგრადობით, რადგან მოსახლეობას მოუწევს იმის გაცნობიერება, რომ მატერიალური ზრდა შეზღუდულია.

ეროვნული სახელმწიფოებისათვის გეოპოლიტიკის კანონებით მართვა უფრო ადვილია. გეოპოლიტიკის აღმავლობის პერიოდში, უმთავრესად მე-19 საუკუნეში, კონკურენტული უპირატესობა მიიღწეოდა სახელმწიფოების გადაწყვეტილებებისა და ძალისხმევის შედეგად და საბოლოოდ ეს ხდებოდა ომების გაჩაღების გზით. 21-ე საუკუნის დადგომასთან ერთად ეროვნული სახელმწიფოები აცნობიერებენ რომ ომი აღარ არის საუკეთესო გადაწყვეტილება საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად.

ამის ამის მაგალითია ამერიკის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოებული ომები. ეს ომები უმეტეს შემთხვევაში წაგებული აღმოჩნდა არა მარტო ჰუმანიტარული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ხედავენ რა ამას ხვალინდელი დღის კონკურენტუნარიანი ერები ცდილობენ თავიანთი რესურსები გადაქაჩონ მეცნიერების, განათლების, წარმოების და ვაჭრობის სასარგებლოდ (SEPT) - რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ „ ოქროს პროცესი“ გეოეკონომიკაში. ამ პროცესის ლოგიკა საკმაოდ მარტივია. თავიდან ზრუნავენ სამეცნიერო მიღწევებზე, შემდეგ უზიარებენ ამ მიღწევებს სხვებს და დებენ ამ ცოდნას ახალ პროდუქტებში, რომელსაც გაყიდვას იხვევს საზღვარგარეთ. ახლად მიღებული მოგების რეინვესტიერას ახდენენ ისევ მეცნიერებაში და ასე შემდეგ. ზოგ ქვეყანაში რესურსების გადატანა მეცნიერებაში ხორციელდება კერძო პირების მიერ უნივერსიტეტებისთვის შეწირულობების გზით. ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მიღებულია აშშ-ში.

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში და ბევრ აზიურ ქვეყანაში იყენებენ გადასახადებს ამ ტიპის ინვესტიციების განსახორციელებლად. მიზეზი, რომლის გამოც ამერიკული მოდელი უკეთ მუშაობს

მდგომარეობს არა იმაში, რომ ეს მოდელი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელია, არამედ იმაში, რომ იგი დაფუძნებულია მერიტოკრატულ სისტემაზე. აქვე ავლნიშნავთ რომ მსოფლიო 20 წამყვანი უნივერსიტეტიდან 18 არის ამერიკული და კერძო. მერიტოკრატული სისტემა კი ეწოდება სოციალურ სისტემას, სადაც ადამიანები აღწევენ სიმდიდრეს და ძალაუფლებას თავიანთი ნიჭიერების შესაბამისად. ამას სხვაგვარად „ახალი კლასობრივი თეორია“ -საც უწოდებენ.

გეოპოლიტიკის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სახელმწიფოს ცნებასთან. ეროვნული სახელმწიფო ამოიზარდა განმანათლებელთა და იდუსტრიალიზაციის ეპოქიდან. მანამდე, მაგალითად რენესანსის დროს, საზოგადოებები ფუნქციონირებდნენ გეოეკონომიკური ლოგიკის შესატყვისად. ადგილობრივი მამულები და პატარა ქალაქი სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობას ეწეოდნენ ახლანდელი კომპანიების მსგავსად. ეს ასე ხდებოდა თავიდან ვენეციაში, შემდეგ კი ამსტერდამსა და სხვა ქალაქებშიც.

ვაჭრები გაერთიანებულები იყვნენ გილდიებში და იმყოფებოდნენ მკაცრი მერიტოკრატული ზედამხედველობის ქვეშ. საზოგადოება წარმოადგენდა ჰარმონიზირებულ ორგანიზმს და იგი იმართებოდა ეკონომიკური ზრდის ინტერესებით მანამ სანამ რომელიმე სხვა სახელმწიფო არ დაესხმებოდა თავს. ყველა ქვეყანა ცდილობდა ყოლოდა ძლიერი არმია, მაგრამ არასოდეს იყენებდა მას, თუ დარწმუნებული არ იქნებოდა თავის გამარჯვებაში. ეს სტრატეგია ნაკლებად ეფექტიანი გახდა ეროვნული სახელმწიფოების გაძლიერებასთან ერთად, როგორც ეს ჩანს მეოცე საუკუნეში თავისი ორი მსოფლიო ომის გათვალისწინებით. ახლა, 21-ე საუკუნეში, როდესაც ამდენი ბირთვული იარაღია მსოფლიოში, ძლიერ ერებს შორის ომის გამანადგურებელი შედეგების ალბათობა აშკარა ხდება. ყოველივე ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს ზესახელმწიფოებს ფართემასშტაბიანი ომების გაჩაღებაში. სამწუხაროდ, აშკარაა რომ ისინი მოქმედებენ პატარა ერებთან მიმართებაში მათი სამხედრო კონფლიქტებში ჩარევისა და შეშინების მიზნით. დიდია ტელევიზიების და მეოთხე თაობის ინტერნეტ ტექნოლოგიების როლი. ადამიანთა ტანჯვა მაშინვე გამჭვირვალე ხდება და შესაბამისად სხვა ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის ალბათობაც გაზრდილია.

გეოეკონომიკის, ისევე როგორც გეოპოლიტიკის მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი. ეროვნული სახელმწიფოებისთვისაც საბოლოო მიზანს წარმოადგენს სწორედ ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი. ამ სამეცნიერო დისციპლინების ლოგიკის მიხედვით ერები ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო ძლიერები ხდებიან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწორად არის ეს ბუნებრივი რესურსები მართული. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამას უწოდებენ „ერების კონკურენტულ უპირატესობას“ ეს იყო ეკონომიკის, როგორც მეცნიერების საფუძველი, როგორც ეს გადმოცემულია ადამ სმიტის 1776 წელს გამოცემულ წიგნში „ერთა სიმდიდრის შესახებ.“

ყველა ერი დაინტერესებულია თავის კონკურენტულ უპირატესობაში. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ერი და კულტურა არ ყოფილა მუდმივად ლიდერის პოზიციაში, ამის ნაცვლად ჩვენ განმეორებით ვხედავთ თუ როგორ ენაცვლება ლიდერის პოზიციაზე ერთი ერი მეორეს. დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც ესა თუ ის ერი თუ კულტურა ინარჩუნებდა ლიდერის პოზიციას, იცვლებოდა და ვარირებდა. ერთ შემთხვევაში ის 1000 წელს აღემატებოდა, მაგალითად ჩინეთსა და ეგვიპტეში, სხვაგან კი, მაგალითად პორტუგალიაში, ნიდერლანდებში და ახლა შესაძლოა აშშ-შიც, ეს პერიოდი 100 წელზე ნაკლებს შეადგენს.

რაც დრო გადის უფრო და უფრო რთული ხდება ლიდერის პოზიციების შენარჩუნება. ამის მიზეზად გამკაცრებული კონკურენცია და გაზრდილი ინდივიდუალური თავისუფლება სახელდება. როგორ უნდა განვსაზღვროთ ესა თუ ის ქვეყანა რის მიხედვით ხდება უფრო კონკურენტული,?

ეს არის ამ დისციპლინის ძირითადი შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გავცეთ და რომელიც ამავედროს წარმოადგენს გეოეკონომიკის შესწავლისთვის ამოსავალ წერტილს. პასუხი ამ კითხვებზე უნდა ვეძიოთ მიდგომებში, რომლებიც განსხვავებული იქნება „კლასიკური“ და „ნეოკლასიკური“ ეკონომიკის მიდგომებისაგან. მეორე მხრივ ეს ნიშნავს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეკონომიკის, როგორც დისციპლინის ზოგიერთ დებულებას, რა სახითაც ამჟამად იგი არსებობს პრაქტიკაში.

### 1.1.3 კლასიკური ეკონომიქიდან გეოეკონომიკისაკენ

გეოეკონომიკა აგებულია სოციალური მეცნიერებებისადმი დინამიკურ მიდგომებზე რომელსაც რეტროსპექტიულად თუ განვიხილავთ, მიყვევართ ევოლუციურ თეორიასთან. ამისგან განსხვავებით ნეოკლასიკური ეკონომიკის არის ისეთი სტატიკური მიდგომა სოციალური მეცნიერებებისადმი, რომელიც დამახასიათებელია ფიზიკისთვის, იყენებს ალგებრასა და წონასწორობის თეორიებს. ეს არის მცდელობა

კაცობრიობის შესახებ წმინდა მეცნიერების შექმნისა, რომელიც თავს არიდებს ღირებულებებსა და მორალურ პრობლემებს ნებისმიერი შედეგის განხილვის დროს.

გეოეკონომიკის მიერ გამოყენებული მიდგომები განსხვავებულია კლასიკური ეკონომიკის მიდგომებისაგან. ის დამყარებულია მულტიდისციპლინარულ ლობაზე, გლობალურ სტრატეგიულ აზროვნებაზე და კრიტიკული თეორიის ტრადიციებზე. ნეოკლასიკური აზროვნებისაგან განსხვავებით გეოეკონომიკური აზროვნება ეყრდნობა არა ფიზიკას, არამედ ბიოლოგიას.

გეოეკონომიკის, როგორც მეცნიერების განვითარებამ წინა პლანზე წამოსწია შემდეგი კითხვები: არის თუ არა კავშირი (კორელაცია) კლასიკურ ეკონომიკურ თეორიასა ( როგორც სტანდარტულად ისწავლება) და ეკონომიკურ ზრდას შორის? თუ არის, როგორ ხდება რომ ისეთ ქვეყნებს, როგორცაა იაპონია, გერმანია და ჩინეთი გააჩნიათ საუკეთესო ეკონომიკური მაჩვენებლები ისე, რომ თავიანთ ტერიტორიაზე არა აქვთ არც ერთი საუკეთესოდ აღიარებული ბიზნეს-სკოლა?

თუკი ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური მეცნიერებები ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმატებულად ვითარდებიდა, რატომ ხდება ისე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით გლობალური ფინანსური კრიზისის ქვეშ და ვერ ვითვალისწინებთ იმ გაკვეთილებს რომელიც ეკონომიკიდან უნდა მიგვეღო? უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ქვეყანა, რომელსაც ყავს ეკონომიკაში ყველაზე მეტი მსოფლიო დონის ექსპერტი, საუბარია ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ფლობს ასე დიდ და საფუძვლიან ეკონომიკურ პრობლემებს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და ვერ პოულობს გზებს მათ გადასაწყვეტად.

რატომ მოხდა ისე, რომ ბანკები რომლებიც სამსახურში იღებდნენ მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო ბიზნეს სკოლების კურსდამთავრებულებს, მაინც გაკოტრდნენ? და პირიქით, როგორ არის რომ ისეთი ქვეყანა, როგორცაა ჩინეთი, რომელსაც ნაკლებად ცნობილი ბიზნეს სკოლები აქვს ასეთი წარმატებულია ეკონომიკაში? თითქოს უკუკავშირიც კი არსებობს, თუ ასეა, მაშინ რა ღირებულება გააჩნია ნეოკლასიკურ ეკონომიკს?

იოსებ შუმპეტერის წიგნის „ეკონომიკური ანალიზის ისტორია“ გამოსვლის შემდეგ გაჩნდა შემდეგი მოსაზრება: სოციალური მეცნიერებები ნაადრევად გაემიჯნენ ევოლუციონისტურ თეორიას. უფრო მეტიც, პოლიტიკური მეცნიერებების გამოყოფამ ცალკე გეოეკონომიკისაგან მე-19 საუკუნის დასასრულს დიდი ზიანი მოუტანა ორივე დისციპლინას რომლებიც ცდილობდნენ რეალობის გაგებასა და ახსნას. გეოეკონომიკის კურსის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას ყავს ბევრი კოლეგა, რომელსაც ფეხი არ დაუდგამს რომელიმე კერძო კომპანიაში არსადროს და მაინც ითვლებიან მენეჯმენტის ექსპერტებად. ისინი (კოლეგები) ამტკიცებენ რომ მათი წვლილი უმნიშვნელოვანესია მრეწველობის ყველა დარგისა და ბიზნესის არსის გასაგებად და მათი ეფექტიანობის ასამაღლებლად; თან ყველა კულტურაში, რომელიც მოიცავს ისეთ ადგილებსა და ქვეყნებს, სადაც ამ „ექსპერტებს“ ფეხი არ დაუდგამთ. მაგრამ ისმის კითხვა: საიდან ჩნდება ის აზრი რომ შესაძლებელია ახალ ცოდნამდე მისვლა პრაქტიკული ბიზნეს გამოცდილების და მთლიანობაში სოციალური ცხოვრების გაზრდილი სირთულეების გათვალისწინების გარეშე?

ამკითხვებზე მოკლე პასუხი, რომელიც ამ კურსშია შემოთავაზებული, შესაძლებელია მოკლედ ჩამოვყალიბოთ ასე: პრობლემები დამყარებულია მცდარ წარმოდგენებზე. კერძოდ, რომ სოციალური ცხოვრების ამსახველი კანონების შესწავლა შესაძლებელია კაბინეტური მეთოდით და ისეთი ვიწრო კორელაციების (კავშირების) აღმოჩენით, რომლითაც გარკვეული პროგრესი მიიღწევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. მაგრამ არსებული რეალობა ბევრად უფრო რთულია. ორივე, პოლიტიკური მეცნიერებაც და ეკონომიკაც მოითხოვდნენ ღირებულებებისაგან ნეიტრალურებად დარჩენას. - ამისათვის მათ ხმარებიდან ამოიღეს ძალაუფლების განზომილება, რაც ასე დამახასიათებელია გეოპოლიტიკისათვის. შედეგად ორივე დისციპლინა, პოლიტიკური მეცნიერებაც და ეკონომიკისიც უფრო ნაკლებად რელევანტური გახდა. ეკონომიკსმა, როგორც მეცნიერებამ როდესაც უარი თქვა ძალაუფლების ცნებაზე, დაკარგა თავისი დამოკიდებულება ადამ სმიტის იმ კონცეპციისადმი, რომელსაც ერების კონკურენტული უპირატესობა ეწოდება.

ყოველთვის ასე არ იყო. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ეკონომიკის დაფუძნებული იყო ბიოლოგიასა და ევოლუციონისტურ თეორიაზე. ეს იყო მანამდე, სანამ ნაცისტები მოვიდოდნენ ძალაუფლების სათავეში გერმანიაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ მიდგომას არსებობის შანსი არ დარჩა. გამარჯვებულსაც და მსხვერპლსაც სურდა ახალი სოციალური მეცნიერება. ამასთან, ევოლუციონისტური ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ამერიკელები იყვნენ და არა ევროპელები. უარყოფილი იქნა არამარტო ევოლუციონისტური თეორია, არამედ ისტორიული მეთოდიც.

ამ უარყოფისას დაახლოებით ასეთ ლოგიკასთან გვექონდა საქმე: საიმედო მეთოდი რომ ყოფილიყო, ეს ბედი ეწეოდა? თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვისწავლოთ ისტორიიდან, მაშასადამე ისტორიამ არც უნდა ითამაშოს ასეთი მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში. ეს რეაქციები აშკარად ირაციონალური და მოუმიწიფებელი იყო.

როდესაც ეკონომიკის ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დისციპლინად ის განისაზღვრა როგორც მეცნიერება შეზღუდული რესურსების შესახებ, რომელიც დანახულია არა კოლექტიური პერსპექტივიდან, არამედ უფრო ვიწრო, ინდივიდუალური პერსპექტივიდან. ანუ ინდივიდუალისტური ფილოსოფიის შესაბამისად, როგორც იგი ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის ბოლოს. საქმე გვაქვს უკიდურესობასთან, როდესაც ვუშვებთ, რომ რაც საუკეთესოა ინდივიდისთვის, საუკეთესოა საზოგადოებისთვისაც. ეს გულისხმობს რომ, თავისუფალი ინდივიდუალური არჩევანი უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას ყველა ორგანიზაციისთვის და ერებისთვისაც კი. როდესაც ვუყურებთ ჩინეთის აღზევებას დღეისათვის, განსაკუთრებით მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ეს დაშვება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. დასავლეთის კონკურენტული უპირატესობის თეორია უკვე კითხვებს ბადებს და მკვლევარები ეძებენ პასუხს ამ კითხვებზე.

ბევრი თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა კვლევის შეუსაბამობა რეალობასთან კიდევ უფრო მწვავედგება იმ სპეციალიზაციის ხარისხით რომელსაც ადგილი აქვს ემპირიული ხასიათის ნაშრომებში მეცნიერულ ჟურნალებში. რასაც დღეს „ეკონომიკის“ ეწოდება, უმეტეს შემთხვევაში ეს არის ემპირიული კვლევების გრძელი ჩამონათვალი, რომლებიც ძალიან იშვიათად გამოიყენება უშუალოდ პრობლემის გადასაწყვეტად. ჩნდება ტენდენცია გაკეთდეს დაუსაბუთებელი ზოგადი დასკვნები. ამას ხშირად ვრწმუნდებით როდესაც ვუსმენთ ეკონომიკურ ექსპერტებს მასმედიის საშუალებებით. მათი კომენტარები ძირითადად თითქოს შედგებიან ჟარგონისგან, ბანალური ჭეშმარიტებებისგან და რიტორიკული ეფექტებისაგან, რომლებიც მიმართული არიან აქციონერებისა და დაინტერესებული მხარეების დასარწმუნებლად. რიტორიკა გვევლინება სისტემის დამცველად, ცხოვრების წესად, და განასახიერებს მიღებად ინსტიტუციებს. ამის კარგი მაგალითია ევროპელი ლიდერების ევროპაში მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის შესახებ ბოლო დისკურსები. აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე კრიტიკული თეორიის ტრადიციამ კვლავ მოიპოვა აქტუალობა როგორც ერთადერთმა მისაღებმა მიდგომამ თანამედროვე სოციალურ-მეცნიერული თეორიების კრიტიკისათვის.

#### *1.1.4 დასკვნები. გეოეკონომიკის კავშირი ევოლუციონისტურ თეორიასთან*

ასოციაცია ევოლუციურ თეორიასთან უფრო პროდუქტიულია. მისი არსი შემდგომში მდგომარეობს: ყველა ცოცხალი ორგანიზმი შეისწავლება ბიოლოგიისა და ევოლუციური თეორიის საშუალებით. რატომ უნდა ხდებოდეს ეს შესწავლა ადამიანის სიცოცხლესთან დაკავშირებით განსხვავებულად? ევოლუციური თეორია და ცვლილების ცნება (პროგრესი, განვითარება და ციკლები) აძლევს ეკონომიკს როგორც დისციპლინას უფრო ძლიერ წინასწარმეტყველურ ძალას ვიდრე მას ეს ქონდა წონასწორობის თეორიების გამოყენების დროს. შესაბამისად, ნაკლებად სანდო გამოდის ალგებრის გამოყენება ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ლოგიკა და ისტორიაც კი უკეთესი საშენი მასალაა სპეციალური მეცნიერებებისთვის ვიდრე მათემატიკის დიდი ნაწილი, რომელიც ალბათ უნდა განიხილებოდეს როგორ პირველ რიგში როგორც მხოლოდ უფრო ეფექტური ენა. მაგალითად, თუკი ეკონომისტები გაიხსენებდნენ ისტორიიდან რა მოხდა დასავლეთის ცენტრალური ბანკების ლიდერებს შორის მეოცე საუკუნის დასაწყისში, იმის ნაცვლად რომ დაეხარჯათ თავიანთი დრო ისეთი მათემატიკური ფორმულების განვითარებისთვის, როგორცაა „რისკის ღირებულება“ და ბლექ-შოულზის ფორმულა ოპციონების ფასებისთვის, დიდი ალბათობით შესაძლებელი იქნებოდა საბანკო სისტემის კრაზის თავიდან აცილება. ამ შემთხვევის დროს, შესაძლოა ვინმემ გაავლო კიდევ პარალელი წინა ფინანსურ კრიზისებთან და სწორად დასვა კითხვებიც. მაგრამ ჩვენ უკვე ვუარვყავით ისტორიული მეთოდი და ამავედროულად უარი ვთქვით ეკონომიკური ისტორიის როლის დაფასებაზეც. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ ის ფაქტი, რომ ნაბიჯი გადაიდგას უკან ისტორიის დასაცავად, მაგრამ საკითხი დგას ასე: უფრო მომგებიანი არის კი ისტორიის იგნორირება და წარსულში დატოვება? მაგალითისათვის განვიხილოთ მარკეტინგი, როგორც მეცნიერული დისციპლინა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ასეულ ათასობით სამეცნიერო სტატია, ძალიან ცოტაა მათ შორის თვით კრიტიკული და ისტორიული კვლევა. ჩვენ ვთვლით, რომ საჭიროა სილოგიზმების დაბრუნებაც, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ლოგიკის ტრადიციები რბილად რომ ვთქვათ მოდიდან გამოსულია. ზუსტი აზროვნება სხვანაირად არ გამოდის.

ერთი მხრივ ყველანი ვართ ერთი კონკურენტული სისტემის შემადგენელი ნაწილები: ინდივიდუალობები, ორგანიზაციები და ეროვნული სახელმწიფოები. ეს სუბიექტები წარმოადგენენ ერთიდაიმავე ბიოლოგიური მექანიზმის განსახვავებულ ასპექტებს, რომლის მიხედვითაც ბუნება

განსაზღვრავს ვინ გადარჩება ადაპტირების გზით. რასაკვირველია თანამედროვე კეთილმოწყობილ საზოგადოებაში შედეგები ძალიან მკაცრი არ არის, იმის გამო, რომ ადამიანებს შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ განსხვავებული ცხოვრების ასარჩევად გადაარჩინონ წარუმატებლები. (მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნავს მოქალაქეებს შორის უბრალოდ მოვალეობათა გადანაწილებას.) ფუნდამენტური მექანიზმი ყოველთვის იგივე რჩება, ყოველთვის შეგვახსენებს, რა არის საჭირო გადარჩენისა და წარმატებისათვის. ცალკეული ადამიანების თვალთახედვიდან ეს ბრძოლა იღებს კონკურენციის ფორმას, რაც თანამედროვე ცხოვრებაში გამოხატულია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური კონკურენციის ფორმით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვსწავლობთ კონკურენციას ძირითადად ეკონომიკური საქმიანობის ამა ტუ იმ ფორმით კერძო თუ სახელმწიფო სექტორში) და არა საბრძოლო მოქმედებების ხარჯზე.

საბოლოო ჯამში ეს არის საზოგადოების ცალკეული ინდივიდების საქმიანობის ჯამი რაც განსაზღვრავს ერის კონკურენტუნარიანობას. ამავე დროს, მოგვწონს ეს თუ არა, ყველა ქვეყანაში არიან ისინი, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობაში და ისინი, ვინც სარგებლობენ. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ არსებობენ ქვეყნები, რომლებიც სისტემატიურად უფრო ეფექტურად მოქმედებენ. ამას ვსაზღვრავთ ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორებიდან გამომდინარე, როგორებიცაა მშპ, უმუშევრობის დონე, საბიუჯეტო დეფიციტი, ნასესხები სახსრების მოცულობა, საკრედიტო რეიტინგები და ა.შ. მოკლევადიან პერსპექტივაში, რომელიც განსაზღვრულია რამდენიმე წლით ან ზოგჯერ ათწლეულებით, ჩვენ ამ შედეგებს ვხედავთ ფირმების აღმავლობისა და დაცემის კვალობაზე. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, რომელიც იზომება თაობებითა და საუკუნეებით, ამას ვხედავთ დიდი ერების და იმპერიების აღმავლობისა და დაცემის ფონზე.

## გამოყენებული წყაროები

1. Munoz M. J. Advances in Geo-Economics 2016 pp.25-29
2. Mark Leonard "Geopolitics vs Globalization: How companies and States Can Become Winners in the age of Geo-economics. 2015 pp. 121-150
3. Bernard Fingleton Some alternative geo-economics for Europe's regions 2016 pp 12-17
4. Rashish P.S. A New Geoeconomics focus for 2017 american institute for contemporary German Studies. 2016 pp.87-78